# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №236

## 2021 წლის 25 მაისი

## ქ. თბილისი

## შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიისა“ და სს „ეპ ჯორჯია მიწოდებისათვის“ ელექტროენერგეტიკის სექტორში მიწოდების საჯარო მომსახურების სახით განხორციელების ვალდებულების დაკისრების შესახებ

**მუხლი 1**

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 162-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ (შემდგომში – კონცეფცია) მე-9 მუხლის, $15^1$ მუხლისა და მე-19 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, დაეკისროს ელექტროენერგეტიკის სექტორში მიწოდების საჯარო მომსახურების სახით განხორციელების ვალდებულება და განისაზღვროს ელექტროენერგიის სექტორში უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლად, ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებლად და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლად 2026 წლის 1 ივლისამდე:

1. ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის – სს „თელასის“ სალიცენზიო არეალში – შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406312690).

2. ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის – სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სალიცენზიო არეალში – სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405460594).

*საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 აგვისტოს დადგენილება №437 – ვებგვერდი, 29.08.2022წ.*
*საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება №327 - ვებგვერდი, 04.10.2024წ.*

**მუხლი 2**

1. ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული მიმწოდებელი მიწოდებას საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით ახორციელებს ელექტროენერგიის ბაზრის სამიზნე მოდელზე გადასვლის ეტაპებზე კონცეფციით გათვალისწინებული მიზნებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების, უწყვეტობის, სათანადო ხარისხისა და ფასის უზრუნველსაყოფად, მისთვის იმავე მუხლით განსაზღვრულ არეალში იმ საბოლოო მომხმარებლებისთვის:

ა) რომლებსაც არ აქვთ ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულება სხვა მიმწოდებლებთან:

ა.ა) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოებისთვის – როგორც უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი, საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციასა (სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“) და საჯარო მომსახურების გამწევ ელექტროენერგიის მწარმოებლებთან (ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ელექტროენერგიის სხვა მწარმოებლებთან) თანამშრომლობით (მათ შორის, ელექტროენერგიის შესყიდვაზე შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების გზით);

ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულის გარდა, კონცეფციიდან გამომდინარე, სხვა საცალო მომხმარებლებისთვის – როგორც ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებელი;

ბ) რომლებმაც ვერ აირჩიეს ან დაკარგეს მიმწოდებელი – როგორც ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული მიმწოდებლები ელექტროენერგიის დღით ადრე და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრების:

ა) ამოქმედებამდე თავიანთ მომსახურებას ახორციელებენ გარდამავალ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ამოქმედების შემდეგ:

ბ.ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბოლოო მომხმარებლებისთვის საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით მიწოდებას ახორციელებენ კონცეფციის მე-14 და მე-15 მუხლების შესაბამისად და, ამ მიზნით, ვაჭრობენ მხოლოდ ორგანიზებულ ბაზრებზე კონცეფციის, შესაბამისი ბაზრის წესების, კონცეფციით გათვალისწინებულ საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციასთან გაფორმებული ფასთა სხვაობის ხელშეკრულების (უნივერსალური მიმწოდებლის შემთხვევაში), საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა პირობების შესაბამისად;

ბ.ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სხვა საცალო მომხმარებლისთვის საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით მიწოდების მიზნით, ვაჭრობენ საბითუმო ბაზრებზე კონცეფციის $15^1$ მუხლის, შესაბამისი ბაზრის წესების, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა პირობების შესაბამისად.

3. ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული საჯარო მომსახურების გამწევი მიმწოდებლებისთვის ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის კონკურენტული ფასის მარჯა განისაზღვროს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ შესაბამისი სატარიფო წლისთვის უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისთვის დადგენილ უნივერსალური მომსახურების კომპონენტსა და ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებლისთვის დადგენილ საჯარო მომსახურების კომპონენტს შორის უდიდესი მაჩვენებლით (თეთრი/კვტ.სთ).

*საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 აგვისტოს დადგენილება №437 – ვებგვერდი, 29.08.2022წ.*

**მუხლი 3**

1. ამ დადგენილებით განსაზღვრული მიმწოდებლის ვალდებულების შესრულებისათვის ტარიფების დადგენის საკითხი და მომსახურების გაწევის წესები (მათ შორის, მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით) რეგულირდება „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში – კომისია) მიერ.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის:

ა) ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის კონკურენტული ფასის მარჯად გამოყენებულ იქნეს კომისიის მიერ შესაბამისი სატარიფო წლისთვის უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისთვის დადგენილი უნივერსალური მომსახურების კომპონენტსა და ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებლისთვის დადგენილ საჯარო მომსახურების კომპონენტს შორის უდიდესი მაჩვენებელი (თეთრი/კვტ.სთ);

ბ) ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულმა კომპანიებმა უზრუნველყონ სათანადო პროცედურების დაწყებისთვის კომისიისათვის მიმართვა, დადგენილი წესისა და ვადების გათვალისწინებით.

**მუხლი 4**

1. ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს 2021 წლის პირველი ივლისიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**